ხელშეკრულება N23

(გამარტივებული შესყიდვა)

სოფ. ხიდიკარი                                                                                                   19 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, თვითმმართველი თემი ამბროლაურის კულტურის ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი) ამბროლაურის კულტურის ცენტრის დირექტორი გია გეწაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. "გ.გ.2015" მისი წარმომადგენლის გოჩა გვენცაძის სახით (შემდგომში-მიმწოდებელი) ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1ხელშეკრულების საგანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად ა(ა)იპ თვითმმართველი თემი ამბროლაურის კულტურის ცენტრის კუთვნილი მიკროავტობუსისათვის მიმდინარე რემონტის ჩატარება.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია ა(ა)იპ თვითმმართველი თემი ამბროლაურის კულტურის ცენტრის მიკროავტობუსისათვის მიმდინარე რემონტის ჩატარება cpv 34300000; 50112000

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 300 ლარით კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და მიწოდების ვადები

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შემსყიდველის მიკროავტობუსს თავისდროულად თავის დროულად ჩაუტარის მიმდინარე რემონტი.

4.2 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან .

4.3შესყიდვის ობიექტის მიწოდება განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მთავრდება 2016 წლის 19 ნოემბრამდე.

5. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშ სწორება განხორციელდება ლარში უნაღდო ანგარიშსწორებით შესრულებული სამუშაოს დამთავრების და მიღება -ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა დგება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მთავრდება 2016წლის 31 დეკემბერს.

### 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების პირობების მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული პირობების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

### 9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1ხელშეკრულების მიმდინარეობის შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.

9.2შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლიათ დადგენილი წესით მიმართონ სასამართლოს.

### 10. სხვა პირობები

10.1წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

### მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

თვითმმართველი თემი ამბროლაურის

კულტურის ცენტრი

მისამართი სოფ. ხიდიკარი

ტელეფონი 599 15 61 08

საიდენტიფიკაციო კოდი 422934873

სს ლიბერთი ბანკი ამბროლაურის ფილიალი

ბ/კ 220101421

დირექტორი: ბ.ბეწაძე/

მიმწოდებელი

შ.პ.ს. „გ.გ.2015"

მისამართი ამბროლაური

ანგ.N GE77TB7264336060100001

საიდენტიფიკაციო კოდი 422990044

სს თიბისი ბანკი

ბ/კ TBCBGE22

გ.გვენცაძე